# ოქროპილი

რედაქცია:
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე ხერგეგ-
ვის ქ. № 12. ტელ. 17—51.

საბი თვით 100 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე
ნომპარელით: ორმოცდა ათი ათასი მ.;
ტექსტის შემდეგ: ოცდა ხუთი ათასი მ.

კვირა.
იანვრის 28.
1923.

ფასი 10.000 მ.

№ 22. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 22.


## შალვა დადიანის იუბილე

### მოწოდება

1923 წლის შაფათს, თებერვლის 3-ს, რუსთაველის თეატრში დანიშნულია შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე.

შალვა დადიანის სახელი საყვარელია ყოველი ქართველისათვის, ვინაიდან მან, მიუხედავად ძნიმე პირობებისა ღირსეულად მოიტანა ბოლომდე დროშა საზოგადო მოღვაწეობის.

არ დარჩენია დარგი ქართული ყოფის, სადაც არ აემაღლებიოს მის თავისი დაწმენდილი და თავაზიანი ხმა. არ ყოფილა საკითხი გადმოსული საქართველოს წიაღიდან, რომლის განათებაში არ ჩარეოდა მისი კეთილშობილი და გამჭრიახი გონება.

მარადალმხოვანია მოღვაწეობა მისი—ვაზოღილი მესამედი საუკუნის სიგრძეზე.

მის შთაგონებას არა ერთი ხელოვნურად მოხაზული გმირი გამოუყვანია ჩვენი ისტორიის უდანშრომელიდან და გამოუკვეთავს მათი სხეული თლილი სიტყვებით.

მოელი თავისი ენერგია და მაგარი ძარღვი დაუკავშირა მან ქართული კულტურის ამაღლების მოლოდინის. უფრო ხელშესახები და საგრძნობი მისი მუშაობა ქართული თეატრის კედლებს შორის.

აქ გაიმართა მისი ტალანტი. აქ გაიშალა მისი შემოქმედებითი ძალა. აქ დაიღვარა ღია იდეების დამტეკ გულში დაგუბებული პათოსი და, ვინ არ იცნობს: შალვა დადიანის როგორც რეჟისორს, როგორც, არტისტს.

ცოტაა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი პროვინცია, სადაც არ შეეხვიოთოს შალვა დადიანს, არტისტის, რეჟისორის გამჭრიახ თვალებს.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადგილი საქართველოში, სადაც შალვა დადიანის არ მოეწყოს თეატრალურ კულტურის გამაღვივებელი წრე.

მის სიყვარულს ქართული თეატრისადმი არა ერთხელ გადაულახავს საქართველოს საზღვარი.

ბაქოსა და კავკაზში გადახვეწილი ქართველები არიან ღირსეულ არტისტის და რეჟისორის დაუღალავ მუშაობის მეკრმეტყველი მოწმენი. არტისტის მგძნობიარე გულში ძხოლოდ ერთი იყო ამოკრილი: სიყვარული საქართველოს და მისი რაინდი ხალხის.

თეატრი იყო ცხოველი ტრიბუნა, საიდანაც ფოლადის სიმტკიცით ისმოდა უკვდავი სიტყვა ქართველი. თეატრი იყო უწმინდესი ადგილი, რომელშიაც სკოკლლობდა საქართველოს უკვდავი სული.

ამტომ იყო, რომ შალვა დადიანი ამ ტრიბუნისაკენ, წმინდა ადგილისაკენ გაეშურა და იქ დასწვა დიდი ზრახვანი და გამწვეი ენერგია.

ამიტომ იყო ასეთი გატაცებით რომ ეშურებოდა იგი ქართული თეატრის ორგანიზაციისაკენ. ქართველმა მსახიობმა შესაფერისად დაიკუნა შალვა დადიანის დიდიხნის ლტოლვა და ნიშნად პატივისცემისა მსახიობთა პირველ ყრილობაზე აირჩია იგი სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ. მაგრამ რაც აღსანიშნავია უმეტესად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული წყრილობის განვითარებაში—ეს მისი დრამატიული ნაწარმოებია.

შალვა დადიანმა თავისი პიესებით ამოავსო განუზომელი ნაკლი ქართული დრამატურგიის.

მან შექმნა ბრაგადი სახე ქართველ სულით და სხეულით ამღერებული და ეს სახეები დღესაც, და კიდევ დიდხანს შეამკობენ ქართულ სცენას. მის მიერ დაწერილი პორტრეტები კიდევ დიდხანს შერჩებიან ქართული სცენის კედლებს.

შალვა დადიანი: ბელეტრისტი, რეჟისორი, დრამატურგი. მრავალფეროვანი და მრავალ ხმოვანი. ასეთ ხასიათში მოდიოდა მისი მოღვაწეობა. და დღესაც დაუფალავად განაგრძობს მას.

იმედია ქართული საზოგადოება ღირსეულად დაიფასებს შალვა დადიანის დამსახურებას და მიიღებს მონაწილეობას მის იუბილეში.

**საიუბილეო კომიტეტი.**

## ქართული წიგნი.

თანამედროვე ეპოქის სული თუ მეცხავრდება უმთავრესად რკინასა და ფოლადში, მეორეს მხრივ მისი დამახასიათებელი თვისება არის წიგნი, რომელიც იძლევა კაცობრიობის კულტურულ მიღწევათა ყველა ღირებულებებს.

ხოლო ის ერი, რომელიც ამ სფეროში ვერ გამოიჩენს საკმაო აკტუალობას, ვერ შესძლებს თავისი საუკუნის იდეების წიგნის - საშუალებით ცხადყოფას, უსათუოდ ჩამორჩება თანამედროვე კულტურის გაქანებულ წინ სრბოლას და გადაგვარდა შავი ნისლით დაფენილ უფსკრულებში გადაიჩეხება.

ქართულ წიგნს საკმაოდ მაგარი ტრადიცია აქვს.

გავიხსენოთ იოანე, ეკვთიმე და გიორგი მთაწმინდელი, მათი დიადი მოღვაწეობა ამ დარგში და შემდეგ ათი საუკუნის სიკეტზე თვალი გადავავლოთ ქართული წიგნის განვითარების საფეხურებს, სისხლის ზოლებათ რომ ბრწყინავს ჩვენი კულტურის ფურცლებზე, და მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, თუ როგორ ნაბიჯებს ადგა ქართული წიგნი.

მიუხედავად ათას გვარ დაბრკოლებისა მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული წიგნი შესაძრნეველ მრავალდება და ის შედის ჩვენი ხალხის ფართო მასაში როგორც დაუქრობელი ჩირაღდანი, და თანამედროვე კულტურის სხივებით აშუქებს ერის სულს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც იმდენი ენერგია შეალიეს ჩვენი კულტურისათვის თავდადებულმა მოღვაწეებმა, ამ საქმეში ფასდაუდებელ როლს თამაშობდა და ღირსეულად იღგა თავის სიმაღლეზე...

მაგრამ რევოლიუციამ მდგმარეობა არსებითად შესცვალა და მის შემდეგ ქართული წიგნის საქმე დღემდე ვერ არის სოვპარებული.

ამ ჟამად იმდენი დაბრკოლებები არსებობს, რომ თუ მდგმარეობა არ შეიცვალა, ქართულ წიგნს უსათუოთ უდიდესი საფრთხე მოელის.

ამა გადახედეთ წიგნის მაღაზიებს, შეადარეთ იქ ქართული წიგნი უცხო ლიტერატურას და თქვენ გეგონებათ, რომ საქართველოში კი არ ხართ, არამედ სადმე უცხო ქვეყანაში.

განა ჩვენ ოდესმე უცხო წიგნების წინაღმდეგი ვყოფილვართ, განა საქართველოს არ უყვარს დაეწაფოს ყოველი ერის კულტურის წყაროს?

მაგრამ ვინ დაიფასებს, ვის რაი უნდა ისეთი ერის სიყვარული, რომელსაც საკუთარი თავის ღირსება არ ეკოდინება, რომელსაც არ ეშინება თავმოყვარეობა თანასწორის!

ამიტომ დროა ქართული წიგნის საქმეს ყველა კულტურულმა დაწესებულებებმა, და განსაკუთრებით სახალხო განათლების კომისარიატმა, სახელმწიფო გამომცემლობის სახით, მეტი ყურადღება მიაქციონ და თავიდან აავაშორონ ის უდიდესი სირცხვილი, რომ მთელი წლების განმავლობაში ახლად გამოცემული წიგნები თითზე ჩამოთვლება და მეათასეულ ერა ამაყოფილებს ქართული კულტურის ნორმალურ განვითარებას.

ამ ბოლო დროს ამ საქმეს თითქმის უკვე შესაფერი ყურადღებით ეკიდება სახელმწიფო გამომცემლობა და ჩვენ რა თქმა უნდა, ეს მეტად გვიხარებს, მაგრამ საკმაო არ არის მარტო დადგენილებანი, გეგმის შემუშავება, ხარჯთაღრიცხვა და სხვა, არამედ საჭიროა მეტი გაცხოველებული მუშაობა და ყველა დაბრკოლებათა გადალახვა.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირს, ხელოვანთა კოალიტეტს და სხვა სალიტერატურო ორგანებს გაახრახული ჰქონდა და აქვს თანამედროვე ლიტერატურის, ცალკე ავტორებისა თუ ეკურნალების სახით, გამომცემლობის წარმოება, მაგრამ იმდენად დიდი და სახალაპრო დაბრკოლებები არსებობს, რომ მიხნათ დასახული მეასედის განხორციელებაც კი არ ხერხდება...

აქ შეუძლებელია ყველა ამ დაბრკოლებათა დაწვრილებით აღნუსხვა, მაგრამ ჩვენ მაინც მათ შორის შედარებით თითქოს ყველაზე უფრო ნაკლებ ბნიშვნელოვანს მოვიხსენებთ: ეს არის გავრცელების საქმე. შეიძლება დიდის ტანჯვით მოახერხოს რომელიმე კულტურულმა დაწესებულებამ რაიმე წიგნისა თუ ეკურნალის გამოცემა, მაგრამ საქმე ისე არის დაყენებული, რომ შეუძლებელი ხდება მისი ფართო მასისათვის მიწოდება, პროვინციებში დაგზავნა და სხვა.

თითქო ამ მიზნით არსებობს საგანგებო ტრესტი, რომლის ხელშიაც არის რკინის გზის კოსკები და სხვა, მაგრამ ტრესტი ამ დანიშნულებას სრულიად ვერ ასრულებს. ამდენი ხნის განმავლობაში მან ვერ შესძლო მოეწესრიგებინა გავრცელების საქმე. არის მაგალითები, რომ შვიდი-რვა თვის წინეთ პროვინციებში დაგზავნილ წიგნებისა და ეკურნალების ანგარიში დღესაც არ გაუსწორებია გამომცემლისათვის.

დღეს, როდესაც ფულის კურსი თითქმის ყოველ დღე იცვლება, განა შესაძლებელია შვიდი-რვა თვის შემდეგ ანგარიშის გასწორება?

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ შესაძლებელი ასეთ პირობებში რაიმეს გამოცემა?

ეს უფრო დაცინვას ჰგავს, ვიდრე მოღვაწეობას იმ საქმისთვის, რომელსაც ეს დაწესებულება უნდა ემსახურებოდეს.

ეს არის ერთი პატარა მაგალითი იმ მრავალ დაბრკოლებათა შორის, რომელიც კულტურულ დაწესებულებათა კერძო ინიციატივით წიგნებისა და ეკურნალების გამომცემლობას წინ ეღობება.

მაგრამ ჩვენ მაინც მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, ჯათა გამოაცემლობის კიდევ მეტის ენერგიით და სიყვარულით მოკიდონ ხელი ყველა კულტურულმა დაწესებულებებმა და განსაკუთრებით _ სახელმწიფო გამომცემლობამ, რომლისაგანაც ჩვენ გვქონია ბრავალი დაპირებები.

**დონარ.**

## ლიტერატურული ნიჰილიზმი.

**(ისტორიული ნარკვევი).**

1.

მეტად საყურადღებოა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისთვის განხილვა იმ საკითხის თუ როგორ, რა პირობებში წარმოიშვა და განვითარდა ჩვენში ეგრედ წოდებული ნიჰილიზმი, უარმოყოფლობა საერთოდ, რამდენათაც ის გამოიხატა ქართულ მწერლობაში კერძოდ. ვიისაც ხურს თავის ერის ეროვნობის გაცნობა, მისი თვითვნებობიერების გაგება, უნდა ჩაიხედოს მის ისტორიაში და ამ ისტორიის განვითარებას და ეთაობრას ფეხდაფეხ მისდიოს. ლიტერატურული მიმდინარეობა ამა თუ იმ სახით ინარეკლია, გამოხატულებაა ერაღლური ცხოვრების მიმდინარეობის. ლიტერატურულ უარმყოფლობას ჰკვიბდა ის მოცლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ერალლურ ურთიერთობაში. ეს თემა მეტად მნიშვნელოვანია და მოითხოვს დიდს დროს და დიდს შესწავლას ჩვენი ხალხის სახოგადოებრივ და კულტურული ცხოვრების ისტორიისას. ეს სხვა დროსთვის გადადიოს. ამ წერილებში კი ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ლიტერატურულ უარმყოფლობას და აღვნიშნავთ მის ზოგიერთს, უფრო დამახასიათებელ მომენტს.

ჩვენს ლიტერატურაში თავიდანვე დაიბუდა ორმა უკიდურესობამ. ერთია წარსულის ძალმერთებული, მეორე წარსულის უარმყოფელი. პირველს აწმყოის და მომავლის არაფერი სწამდა. ეს იყო უიმედო ნაციონალიზმის უკიდურესობა. მეორე, ვინაიდან ჩვენს წარსულში არაფითარ დადებით მხარეს, არც ერთს ნათელ სხივს არ ხედავდა, ისტორიას თავის თავიდან იწყებდა და ხხოლოდ მომავლის იმედით სულდგმულობდა. ეს იყო უნიადაგო ოპტიმიზმი, რომელიც სულ ზმირად ანაციონალურ და ანტინაციონალურ ხასიათს ღებულობდა. მართალია, კი უკიდურესობანი ყოველთვის ერთნაირის ძალით არ სრანდა. ყოველ შემთხვევაში მათი გაკვლენა სრულიადაც არ ფარავდა მთელი ფერლობის შინაარსს, მაგრამ ლიტერატურულ დასთა და მიმდინარეობათა ბრძოლა ამ უკიდურესობის და ცალმხრივობის ელფერით იღებებოდა.

მე-80 წლებში ორგვარი მიმდინარეობა გაჩნდა,—სწერს გრ. ყიფშიძე:—ერთი იქვით უცქეროდა წარსულს და წინისკენ უთითებდა, ხოლო მეორე წარსულის შესწავლაზე ეშყარებოდა.[1])

გრ. ყიფშიძე აქ ცოტა რბილად ლაპარაკობს. მაგრამ არსებითად მისი დასასითების სიმართლეში ეერაფინ ვერ შეიტანს იქვს, ვისაც კი ოდნავ მაინც გადაუთვალიერებია იმ დროინდელი ლიტერატურული მოძრაობა. ოღონდ იმ ორგვარი მიმდინარეობის გაჩენა, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს, ეკუთვნის უფრო ადრინდელ ხანას; ხხოლოდ მეოთხმოცე წლების შემდეგ ეს „ორგვარი მიმდინარეობა“ უფრო თვალნათლივ წამოიჭრა საზოგადოების წინაშე და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

თუ როგორი ურთიერთობა სუფევდა ამ ორ მიმართულების შორის, შეეგნიერად სრანს იმავე გრ. ყიფშიძის წერილიდან, რომელიც მოთავსებულია 1882 წლის „ივერიაში“,)* სადაც ის პირდაპირ ეხება „ჰუმანიტარებს და მჯლაბნელებს“, რომელნიც „ჩვენდა სამარცხვინოდ და საკვალახოდ ასე მრავლდებიან ჩვენში, აღარ ზოგავენ არაფერს, რომ შემუსრონ წარსულის სახელი და სახსენებელი, პატივი აჰყარონ მას, რაშიაც წმინდად დაცულ ყოველივე ჩვენი ღირსება და დიდება, რაშიაც ხელშეუხებლივ შენახულა დღევანდლამდე ჩვენი წინ�-წმინდათა და რაც ჩვენ ეროვნებას, ჩვენს საბუთს არსებობისას შეადგენს“.

ეს იყო მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვინც წარსული ჩვენი ცხოვრების მნიშვნელობას ერის აღორძინებისა და ზრდასრულ საქმისთვის უარჰყოფდა, ვინც ყოველ შემთხვევაში სრულიად არ იყო იმ გვარად გაბუყნიგილი სულიერად, რომ „ეშულმოდგენ-კით და ოოწყენებით“ მოხსენებინა საქართველოს წარსული და ამ წარსულის მიხაარსის შესწავლაზე, მის ვითარებაზე დაეშყარება ქვეყის აწიხდელი და ოთავიანი ცხოვრება. ეს ინიაოოუფლება სასტიკად აკოიტიკებდა და უთაყოოფდა თელს ძაბიდელს ეართულ ფეოლოობას სწორედ წარსულის პატივისცემისა და სიყვარულის გამო. ფეოლოობა მთლად ეოთიანად წარმოადგენდა სტ. ჭრელაშვილის აზრით „ოიაკეკ მტრიალა, თვალცრემლიან და საცოდავ ოოფლეას“, როიელიც ხალხს აო ეხეარებოდა, არ აღძიავდა გოხებრივ მიშშილს აო არგვეგდა „ხალხისმობის იდეალეას“, სადაგეიეოოდ აღმეერთებდა ქალს და დასტიეოოდა საქართველოს დაკაზგულ დიდებას.

ასე აუასებდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას ეს უაოოაყოფელი, თანამედროვეე ტერიეიხი ოოო ვიხმაროოთ, ხიღილისტური მიმართულება. მაშინ დაჭყო ეურნალება „იიედმა“ ქართული ფყერლობა „თავადიშვილურ“ და „აზნაურულ პეერიოოდებად“**) მაშინ აუგო წეესი ოუსული „ეისარევშრნიეი“ შეხაოხოშეეულა ანტოხ ფეურცელაძეს საეოოოდ ეოეხიას და კეოოდე ქართულ ეოეხიას, ოოოძეიეე „უეაკეკეს გაას საზოგადო კითხვათა და ეკეკეიკოს ვითაოოკა ანეკი ბოულბეეი ანალოგ კოკოოთა ზედა გაზაფხულის ვარდისათა. ჩვენ სოულიად არ გვეკეკეკეკ-ეუმკიხ-ეოეზიეეა-ო. აკეანდის სულ ვეკეკეკეკობდით და გვისწორო უსაგზლო ხაძთარმა. ხე თუ კიდევა გვაქვს გული და მოცალება ეკეკეკეოსათვის!.. ჩვენ ძოძღვეოვებად უადა გვიხადოოთ ეერონის ყიხა აზოეიის მოთავეეი და არა მაკაააკათა საცალვხიო“***).

ორმა ზემოხსენებულმა მიმდინარეობამ ჩვეიში თანდათან ახალ-ახალი ფორმები შეითვისა და ჩაძოყალიბებული ხასიათი მიიღო. რა თქმა უნდა, ყოველი ახალი და პროგრესიული წარსულის შესწავლას უნდა დაემყაროს. განსაკუთრებით ეს ითქმის ეროვნულ ცხოვრებისათვის. მაშინ არის ახალი ნაყოფიერი მოვლენა და წინსვლა. ხოლო წინისკენ ლტოლვა და მითითება სრულიადაც არ გულისხმობს წარსულის იქვით ცქერას. აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო—ამბობს ბრძენი. და ეი ეს სინტეტიური შეხედულება ეროვნულ - საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობაზე, ეს გამაერთიანებელი, ერთად ერთი მეცნიერულ-ისტორიული მსოფლმხედველობა არ იყო საკმაოდ შეთვისებული ჩვენი მწერლობის და ლიტერატურულ დასთა მიერ.

2.

ჩვენებური უარმყოფელობა შემოხვეეთი მოვლენა არ არის, ვინაიდან მას ღრმა ისტორიული მიზეზები აქვს ჩვენი ერის გასული განვითარების პირობებში. თვითპყრობელობამ იმდენად დაგვცა და გაგვთახსირა კულტურულად და საზოგადოებრივად, რომ მთელ თაობათა დიდი თავდადებული ბრძოლა შეიენა საჭირო გადაგვარების დასაძლევად და ხალხის ეროვნული სულის გასაღვიძებლად.

ქართველმა ხალხმა მეცხრამეტე საუკუნე გაითენა რუსეთის თვითპყრობელობის ორთავიანი არწივის ბრჭყალებში. ჩვენში შემოკრა ტალანტი და დამარღვევეელ ძალა, რომელმაც ფეხ ქვეშ გასთელა ისტორიული ხელშეკრულება, ნებაყოფლობით დადებული თანასწორ სახელმწიფოთა შორის, უარჰყო სამართლის და სამართლიანობის ყველა კანონები. ჩვენი ქვეყანა შეიქმა „სათრეველი ერთს დიდს ურეშზედ გამომპეული. საითაც გაიწვეედ ურეში, იქით მიდიოდა სათრეველაც“.

პოლიტიკური მდგომიარობის შეცვლამ ღრმა კვალი დასტოვა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ მეხსიერებაში. ჩვენში რომ იყო გავრცელებული ისტორიული შეხედულება—ვითომც ქართველი ხალხი აღტაცებით და ზეიმით შეხვედროდეს თვითპყრობელობის ხელისუფლებას, დამყარებულია გაუგებრობაზე და ფაქტიური მდგომარეობის გადაუკულძაოთებაზე. ხალხი, რამდენადაც ესმოდა თავის სვებედი, მუშარებით და უკმაყოფილებით შეხვდა უცხო ბიუროკრატიული რეჟიმის გაბატონებას. ეს უკმაყოფილება მრავალგზით გამოხატა ხალხმა. ბევრგან აშკარა აჯანყებებსაც ჰქონდა ადგილი. თუ საყოველთაო მასიური ხასიათი ვერ მიიღო ამ მოძრაობამ, ამის პოლიტიკური მიზეზი იყო ხალხის პოლიტიკური სისუსტე, დაუძლურება, გაუერთიანებლობა და არა ვითომც უსაზღვრო სიყვარული თვითპყრობელური მართვა-გამგეობისადმი. საქართველოს რუსეთს სთხოვა მეაარელობა და არა ქვეშევრდომობა, პროტექტორატი და არა დაყრობა. მაშინ ქართველ ხალხს არ ფიქრობდნა იმდენი სიმწიფე და ორგანიზაციული ძალა, რომ თავის ფეოდალური სახელმწიფოებრივობა თვითოხეე გარდაექმნა საკუთარი ძალ-ღონით. მაგრამ ეს რომ არ მოხდა, იმას არ ნიშნავს, რომ თვითპყრობელობითი მთავრობის სურვილი სამართლიანი, კანონიერი იყო და იგი ხალხმა აღტაცებით მიიღო.

დაიწყო ნელი, სისტემატიური დაშლა ერის ორგანიზულს სხეულმა, მონობის ჯაჭვები მაგრად შემოეხვია ჩვენს ცხოვრებას. საზოგადოებრივ ძალთა დაქსაქსულების ნიადაგზე, რაღა თქმა უნდა, უხაყოფოდ გათავდებოდა მეოცდაათე წლებში მოხდარი შეთქმულება. ის დარნა განუხორციელებელ ცდად, შებრძოლებას ბანზოგხვად, რომელსაც არ გამოხმაურებია

---

[1]) „მნოამბე“, 1896 წ. 1. „სალიტერატურო მიმოხილვა“.

*) „ივერია“ :8.2. 10. „სასტერორო სკოლა და სასტერორო სახოგადოება“.

**) „იმედი“ :881 წ. ივნისი-აგვისტო „რამოდენიმე სიტყვა“ („ივერიის“ სპასუხად).

***) „იმედი“ 1882 წ. ივლისი-აგვისტო „რამოდენიმე სიტყვა“ („ივერიის“ სპასუხად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი საზოგადოებრივი წრე, არც ერთი საზოგადოებრივი ძალა. დამკვიდრდა ბნელი უკუნი და სამარისებური სიჩუმე. მხოლოდ პოეზიის კვარცხლბეკზე ისმოდა ობლად შთენილი ბარათიშვილის გულდამწვარი ქვითინი.

ცხადია თვითპყრობლობამ გაამეუა მოქალაქობრივი მშვიდობიანობა და ცხოვრების გარეგნული უზრუნველყოფა. მაგრამ ეროვნულად ყოველივე დაარღვია და გააპარტახა. განიდევნა ჩვენი ენა. დადუმდა სამართალი, შეირყევნა ოჯახი, შკოლა. შემოიტანეს, რაც ჭქონდათ. „ცუდი იყო თუ კარგი, მეტი არა ჭქონდათ-რა; იმისი თითონაც კმაყოფილი იყენენ და ჩვენც, რასაკვირველია გვაკმაყოფილებდნენ“. ამბობს „საქართველოს მოამბის“ (1863 წ. იანვარი) ჭკვიანი მეგობარი.

მეტად უნუგეშო იყო საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობა იმ ხანაში. ხალხი, მისი გლეხური უბრალოსნობა იყვ ბატონყმურ ხუნდებში გმნავდა. ეკონომიური ურთიერთობა მეტად სადა და განუვითარებელი იყო. ახალი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ელემენტები ჯერ არსად სჩანდა, ვაჭრობა, ოლბამიეკმობა მხოლოდ აკა-ინ ცენტრებში ბეუტავდა. თავადაზნაურობა, როგორც წოდება, ჩვეულებრივ თათქვიროობდა. სხვა საზოგადოებრივი კლასი თუ ჯგუფი, ახალი ძალ-ღონის აღმძვრელი, ახალი ლტოლვილების მომფენი და გამაძლრეველი, ცხოვრების დუღილს ჯერ კიდევ არ წარმოეშვა. ამ გვარ ეკონომიურ მონობას, პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და საზოგადოებრივ ეილაჯობას თან ახლდა თვითპყრობელური მთავრობის სასტიკი ბატონობა. ეკონომიურ-სოციალური დავრდომილება და ფეოდალური მტაბელობა ერთი მხრივ, ნაციონალური მონობა და კულტურულ-საზოგადოებრივი ბატონყმობა მეორეს მხრით, — ასეთი იყო მოკლედ მდგომარეობა.

ამ დროს ეკუთვნის ჩვენი დაფალმანდებული ცხოვრების მიერ წარმოშობილი საზოგადოებრივი მოცლენა— „რუსეთუმეთა“ თაობა, რომელიც ხელს იღებდა საქართველოზე და გუნდრუკს უამეედა ყოველივე რუსულს, რაც უნდა ყოფილიყო ის. „რუსეთუმე“ დასაკნოდა ქართულს, როგორც ენას, ისე ზნე-ჩვეულებას და კულტურას. იწუნებდა შინაურ ქართველურ ცხოვრებას არა როგორც მისი გარდამქმნელი და გადამახალისებელი, არამედ მისი უცხო ყაიდაზე გამოძერწელი და გადაგვარების მოსურნე. „რუსეთუმე“ არის ნამდვილი ნაციონალური უარ-მყოფელი, ნიღილისტი ამ სიტყვის მდაბალი, ვიწრო, რუსოფიკატორული აზრით.

ეი როგორ ახასიათებს „რუსეთუმეს“ ტიპს ტურნალ „იმედის“ მთავარ ხელმძღვანელთაგანნი სტ. ჭრელაშვილი:

„რუსეთუმე იყო იგივე ქართველი, რომელსაც ეთვალწუნებოდა ყოველივე ქართული, არ ეპაშნიკებოდა არაფერი, რასაც კი სამშობლოს ფერი ეფო, მოკიდებული ენიდგან ვიდრე ჩვეულებამდე. ეს იყო ძმიმე ავი ჩვენი ცხოვრების უგზო უკელო მმდინარეობისა, და „რუსეთუმეც“ „წარმოადგენდა ნაყოფს ამ უგზოუკლობისას“. სტ. ჭრელაშვილს შემცდარად მიაჩნია ის აზრი, თითქოს „რუსეთუმე“ სამშობლოს მტერი ყოფილიყო. მისი აზრით, „რუსეთუმეს“ მტრობით კი არ მოსდიოდა ასეთი საქმე, სიძულვილით კი არ დასცინოდა ქართველ მიდრეკილებათ, არამედ თითონ სამშობლოს სიყვარულით სჩადიოდა იგი იმისთანა საქმეს“. „რუსეთუმე“ ფიქრობდა, რომ რაც მალე მოიშორებს ეროვნულ ფეიზიონომიას, მით უფრო მალე დაალწევს თავს ტანჯვას და შეესწრება ბედნიერებას. ის ხედავდა, რომ პატიგში იყო ის, ვინც რუსული იცოდა, იჩაგრებოდა ის, ვინც რუსულის არა იცოდა-რა; ვინც სამსახურში იყო, ის ლაღობდა, იმყოფებოდა „ქრისტეს ილოიაში“.[1]) აი ეს აფორიაქებდა „რუსეთუმეს“ სულს და გულს, სტ. ჭრელაშვილის დახასიათებით.

რაია თქმა უნდა, ყველას თავისებურად ესმის სამშობლოს სიყვარული და სიძულვილი. აქ არც სტ. ჭრელაშვილის შეხედულების კრიტიკას გამოგუდგებით—თითქოს ეროვნების და ყოველივე ეროვნულის უარმყოფელი „რუსეთუმეს“ სამშობლოს სიყვარულით ყოფილიყოს გამსჭვალული. ამას უარს ჰყოფს თვით მისი დახასიათება „რუსეთუმეს“ ტიპისა. ეფიქრობთ-კი, რომ ადამიანი თავის სამშობლოს, პირადობის და სახიერების უარმყოფელი, თავის ერის გადაგვარების მოსურნე, თავის ხალხის გასხვახალხებას მტრფიალე კი ჩაითვლება ნამდვილ მოღვაწედ და მამულიშვილად, რაც უნდა დიდი კეთილი სურეიდეი ამოქმედებდეს მას. ჩვენ გვიჩტერესებს „რუსეთუმე“ როგორც საზოგადოებრივი ტიპი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, წარმოშობილი ჩვენი ცხოვრების გათახსირების დროს.

[1]) „იმედი“ 1882 წ. მარტი. წერილი „დამტერეული ოცნებანი.“

საყურადღებო ის არის, რომ „რუსეთუმეს“ მარტო მოსწავლეთა და მასასმახურეთა შორის კი არ იყო, როგორც შეიძლება იფიქროს ვინმემ, ის სტ. ჭრელაშვილის თქმით, ათასობით მოიპოვებოდა თვით გაუნათლებელ ხალხშიც. ეს ხანაა ჩვენს ცხოვრებაში ხანა რეაქციისა, როცა მამულიშვილი მამულისაკენ სახელით და მომძმეთა სასარგებლოდ ნატრულობდა, რომ ჩქარა ენახა საქართველო ერთიანად გარუსებული.[1])

ვიმეორებთ, „მამულიშვილობა“, „მამულის სახელი“ და „მომძმეთა სარგებლობა“, ვვგონია, ვერაფერს აკეთხსნის აქ აღძრულ საკითხის გამოსარკვევად, მაგრამ ამაზე ახლა არ ვჩერდებით.

**ბანი.**

[1]) „იმედი“ 1882 წ. მარტი. იგივე წერილი.

# ახალგაზდობა

ერთ საჩოთირო საკაზე მინდა გავებაასო მკითხველს.

ახალგაზდობაზე მოგახსენებთ.

ცნობილია, რომ ახალგაზდობა მოგალის სძირკველია.

ჩვენდა სავალო�o, დღეს როცა შეეცქერით ამ მომავალ თაობას, გულის წკმეტასა ვგრძნობთ.

გაიხედეთ სათაკე გნებავთ, აიღეთ რომელი ქეჩაკე მოგეკრინოთ, შედეთ თეატრებში, დაათვალიერეთ ჩვენი სკოლები და დარწმუნდებით რომ თითქოს ქართველთა მოდგმა გადაგვარების კვერნაკზეა მოქცეული.

ქართულ წარმოდგენას ვერ მოისმენთ წესიერად: სართულებში და ქანდარაზე უეჭველად პიესის მსეელობის დროს უნდა ატყდეს აურზაური. საკმარისია რომელიმე „ტკბილსანს“ არ მოეწონოს მომქმედნი პირნი რომ ხელად მისი ენა სალამურად გადაკეთდეს და სტენნით თუ ღრიანცელით დაჰფაროს პარტერი.

სადა ვართ? ნუ თუ ასეთი თვითნებობა მოსანელებელია იმ დედაქალაქში რომელსაც კულტურული ქვეყანა ეწოდება?

სკოლაში! მოწაფე ისე კადნიერობს მასწავლებელთან თითქოს მასწავლებელი მისი ფარეში იყოს.

საკმარისია რომელიმე სასულიერო პირმა გაიაროს ქეჩაში, რომ თითის ტოლა ბალლებმა ერთი კიეინა დასცეს.

ლოთობა, ფლიერი და საეჭვო სამსახური — აი ერ ის სამება, რომლის კუბოშიაც აწყობს თავის ნერვებს ჩვენი ახალგაზრდობა.

ნუ თუ ისე დავეცით რომ საქართველოში—სადაც პირიერების პატივისცემა საზღაპროდ იყო მინნეული, ღღეს ქართველი ინტელიგენტი უპატუსუსმგებელო პირების ხელში უნდა გადნეს?

საჭიროა, ჩვენმა შშობლებმა ზრდილობის ანბანიე შეისწავლონ თავიანთ მოზარდებს.

საჭიროა, ასეთი წერილფეზობისაგან საზოგადო მოღვაწენ სიცოცხეე განსაცდელში არ იყოს ჩავარდნილი.

საჭიროა ჰაერის განტეირთვა.

**უჯავრელი.**

# მოგონება ჭოლაზე

ჭოლა მოვიდა ჩვენთან ღამის ოდუმალებაში, მოიტანა თან სისპეტაკე, დაუშრეტელი სიყვარული და თავგანწირავი ულამაზესი საქმისთვის, უღამაზესი იდეისთვის. ჭოლა მოვიდა ჩვენთან ათრთოლებული სულით და თავის გარშემო შემოკრიბა ყველა, ვინ ცხოვრებაც უსაშინელესი სევდით იყო მოცული.

ნისლიან მოსაწყენ სიჩუმეში მოვიდა ჩვენთან ჭოლა და მედგარი ხმით გვაუწყა მზიანი დილის მოახლოება...

მაგრამ საშინელი ტანჯვაა სულისს, როდესაც ფიქრობ, რომ ამ განთიადს თითონ ვერ მოესწრო.

უცხო ქვეყნის პირ-ქეშ ცის ქვეშ მოსწყდა ჭოლა სიცოცხლეს, უცხო ცის ქვეშ დათავდა ჭოლას აღგზნებული სულის თრთოლვა.

რომ ჩვენ ძლიერი ენერგია გამოგვეჩინა, ჯოლა ნახავდა თავის სამშობლო ქვეყნის ლურჯ ცას და უკანასკნელად დასტკბებოდა მისი სიმშვენიერით.

ჩვენ ეს ვერ ჩავიდინეთ, ვერ გამოვჩინეთ საკმაო თაოსნობა, რომ ჭოლა სიცოცხლეში გადმოგვეყვანა აქ, და აი ამიტომ დამნაშავე ვართ მასთან. როგორ სწყდუროდა ჩვენი ქვეყნის ავკარგის გაგება, ქართული კულტურის წინ სვლა, ქართული ახალი ლიტერატურა და სხვა—ეს იქიდანაც სჩანს, რომ თავის წერილებში ხშირად შემეკითხებოდა ხოლმე. 1913 წელს მე ვმას მივწერე წერილი და თან გავუგზავნე ქართული, მარქსისტული გაზეთის ნომრები, რომელშიაც მისი მოთხრობა—„გერი“ იბეჭდებოდა.

ჭოლას ძალიან უნდოდა ამ გაბნეული მოთხრობის ერთათ თავის მოყოლა და ამიტომ გავუგზავნე მეც. ჩემი წერილის მიღება მას ძალიან გაკვირვებოდა და სპასუხოთ მწერდა: „არ მოველოდი შენს წერილს, რადგან ყველამ დამეიფიწყა თითქმის და მეგონა— თუ ალარაფის აღარ ვახსოვარ! ამავის გაახსენდება გერი, ცხოვრების გერი, მიგდებული სადღაც შორს, ცივს ქვეყანაში. ვფიქრობ თან: არც სხვები არიან ჩემზე უკეთესს დღეში“...

ჭოლას გული წყდებოდა ამხანაგებზე. და ის მართალიც იყო.

„მომწერეთ წერილი, თუ ამის დრო გეექნესთ, მომწერეთ რა არის ჩვენში ახალი, ჩვენი „საერთო ცხოვრება“ (პარტიული ცხოვრებას გულისხმობდა), თეატრი, ლიტერატურა. მე „სინანულზე“ არაფერი არ წამიკითხეს, არც თვით „სინათლე“, ამა ვინ მომაწოდებს აქ, ეს ზედ-მეტი ზრუნვა იქნება. თითქოს ჩვენი მწერლობა უახლოვდება ევროპისას. მკითხულობთ—როგორ ვარ, როგორ ვცხოვრობ. იკითხეთ როგორ ვცხოვრობ? ვერ შეგახარებთ. ან ჩემი ცხოვრების სურათი ერთი თვალის გადავლებით: ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარი, ავსილი არა მარტო ღარიბ-ღატაკებით, (ეს იმდენად ვერ შემაშინებს, რადგან ღარიბი ვარ თითონაც) არამედ ყოველ გვარი სისხლის, სამართლის დამნაშავეებით და ყოველი მოხეცი ეანდარმებით, ისინი აქ მოყვანილი არიან, როგორც ინვალიდები, მოსასვენებლად. კიდევ ამ მშვენიერ თაიგულს ამშვენებენ კიდევ ისეთები, რომლებსაც ცხვირები მოკმული აქვთ სნეულებით. ამათში ურეეია მოხუცი დედაკაცები ჭკუა-შეშლილები. არის მომენტები, როდესაც ჩემი თავიც ჭკუა შეშლილათ მიჭენება. მაგრამ ვიჭირ თავს ორივე ხელებით და ვფიქრობ, ვფიქრობ დიდ ხანს: მე მოეშორდები ამ ხალხს, უთუოდ მოეშორდები, ეს არ შეიძლება ასე დარჩეს დიდ ხანს, მაგრამ თქვენთან ეი მაინც ვერ ვეღირსება მოსვლას, ამის თავდებიი ჩემი ყოველდღიური სიცხე და ბუღნიი ხელი.

თუ მომწერთ წერილს, მარკები თან არ გამოაყოლოთ, მე მაქეს მარკები.

თქვენი ჭოლა.

მართლაც ვერ ეღირსა ჩვენთან ყოფნას, თუნდაც ორიოდე დღით მაინც, რომ ჩვენც გაგვეგონა ჩვენს ახლო მისი სულის უკანასკნელი კვნესა, უკანასკნელი ამოძახილი.

ჭოლას ბუნება სავსე იყო ფაქიზი განცდებით, და ამ განცდებში უკანასკნელ მის დღეთა სვლაში ურეეი გულის ყწეტა და საყვედურის კილო ამხანაგებისადმი. ამას გრძნობდა ის იმ ჯოჯოხეთურ თავშესაფარში, სადაც განუტეკა სულ და ამიტომ საშინელი, გულის დამსერავი სევდაა ამ ამბის მოგონება.

ო. ბ—ძე.

# რუსეთის მზატვრული მდგომარეობა

Бор. Пильняк. „Голый год“ 1922 г.

რუსეთის დღეკანდელ მხატვრულ მწერლობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იმ ავტორს, რომელსაც ვასახელებ ამ წერილის სათაურში. მოკლე ხანში მოიპოვა ფართო წრე მკითხველების. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ თანდათან კიდევ უფრო გაფართოვდება ეს წრე. მწერალს აქვს სამხატვრო სიშულებები და, უეჭველია, დიდ ყურადღებას მიიქცევს არა მარტო რუსეთის ფარგლებში.

ტროიკამ უძღვნა მის კალამს, სხვათა შორის, კრიტიკული წერილი და ავტორი მოიხსენია რევოლიუციის თანამგზავრთა რიცხვში („Попутчики революции“), ის მართლა თანამგზავრია თანაგრძობით. ეს ეტყობა მის ნაწერებს და ამ წიგნსაც. მაგრამ აქ ეს მხარე მე არ მაინტერესებს. უფრო საინტერესოა მისი მხატვრული ღირებულების დაფასება, საინტერესოა, როგორ იჭიბნა სინამდვილე მის შეგნებაში.

უნდა ითქვას, რომ ის სავსებით დამოუკიდებელია. ფიქრი, თანაგრძნობა არ ცვლის მის საღებავებს, არ აკლებს მხედველობას და არ უშლის სმენსს. დადის სინამდვილეში თავისი თვალით და თავისი ყურით. სინამდვილე იხაზება იმის მხატვრულ შეგნებაში ისე, როგორც სუფთა ქაღალდზე, და აქ ადვილი გასარკვეეია თითეული ასო, სტრიქონი, წერტილი.

„Серой нечистой мутью начинается разсвет, и полны по улице сырые туманы.—ასეთია მისი საერთო გახედვიდ მთელი გარეშემო, რომელშიაც... величайшее очищение прошло, революция, ты не знаешь какая красота...—ამბობს ერთი გმირი.

ეს უდიდესი გაწმენდელა, ეს მშვენიერება, რომელიც, ამ გმირის სიტყვით, მოიტანა რევოლიუციამ, თითქო ცალკეა თავისთვის, სადღაც მიუწოდმელ სიმაღლეზე.

— როცა ვარსკვლავებზე ვფიქრობო, ამბობს მეორე გმირი,—მაშინ უფრო ვგრძნობ, რომ არაფერი არა ვართ, დედა მიწა, ეს ქვეყნიური ციხეაო.

# ნიკვდილის ნიმაღლე

I

დიდი ხანია „ჯარის კაცის ფოსტა“ შეტეეის შესახებ ლაპარაკობდა. ეს იყო დრო, როცა ფრონტი გაიკლაკნა ათასეული ვერსის მანძილზე და, უბრალო ფიზიკური კანონის ძალით, გაიაყინნა, დადგა ერთ ადგილზე. ლაშქრობა, დროებით მაინც, დამთავრდა. ეხლა ეწეოდნენ მშვიდობიან მუშაობას: ფრონტს ამაგრებდნენ და სანგრების უკან ცხოვრებამ თითქმის მშვიდობიანი სახე მიიღო.

მაგრამ „ჯარის კაცის ფოსტა“ არ სცხრებოდა:

— შეტეეა,—გაისმოდა საუბარში ხშირად, და ეს სიტყვა ჰაერში გასროლილ ხმის სისწრაფით გადადიოდა გუნდიდან გუნდში, ათასეულიდან ათასეულში...

— შეტეეა უნდა მოხდეს!!!

— აუცილებელია!

— ვინ, თუ იცი?..

— რა თქმა უნდა, ისინი...

— ამბობენ, ჩვენები მოდიანო!..

ასე ლაპარაკობენ კანტი-ჯუნტად.

მერე—უფრო დაბეჯითებით...

ოთვლიდნენ დღეებს... ნიშნავდნენ რიცხვს... ასახეკბდენ სამხედრო ნაწილებს... ბოლოს, იცოდნენ:

უსათუოდ უნდა მოხდარიყო...

და მაინც მოულოდნელად მოვიდა ეს დღე.

ერთ მშვენიერ საღამოს მიწურებიდან გამოუმახეს დასასვენებლად დაბინადრებულ „სიკვდილის ათასეულს“ და, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, გაისმა მაორის მღელვარე ხმა:

— ხეალ შეტეეაზე გადადივართ

უნებურად გადახედნენ ერთმანეთს, და სანამ მაორი უსმენდა შეტეეის ბეგმას, ყოველმა მათგანმა მეორის თვალებში დაინახა:

მწუხრის აჩრდილი, თუ რაღაც ნაენობი და დაუფიწყარი—მესამე წყვილი თვალების კაშკაშა...

ვისი იყო ეს თვალები?

ფიქრობდენ...

იგონებდენ დავიწყებულ სახელს...

მაორი მხუთვალე რწმენით სავსე სიტყვებით ლაპარაკობდა სამშობლოს სიყვარულზე და მისი შვილების მოვალეობაზე. შემდეგ უპასუხოთ წაიკითხა ამონაწერი კორპუსის „ბრძანებიდან“ ჯარის კაცების გასამართლებისა და დახვრეტის შესახებ... გადავიდა იმ ხელის ძლიერებაზე, რომელსაც შეიძლება აქვს მორჩილებაში მოიყვანოს ყური მონა და მუხანათი...

— მაგრამ—ამბობდა ის—მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, ჩვენ შორის არ მოიძებნება არც ერთი, რომელსაც თავის თავზე მეტად არ უყვარდეს ყველასთვის ძვირფასი სამშობლო, ეს წმინდათა წმინდა, რისთვისაც ღირს სიცოცხლე და სიკვდილიც“...

მისი მოწოდება ძლიერი იყო ბრძნობითაც და დაპირებითაც... მაგრამ... თითქო მოშვებულ სიმებზე გაიარა ძლიერმა თითებმა:

ყრუთ, უგულოთ უპასუხეს მის „ვაშას“.

არ ტორტმანობდენ „მთები და ხევები“ მათი ძახილით, როგორც მოთბოდეთ სამხედრო წესიერება...

თითქო სძინავდა ამ ხალხს და ეს არის გამოიღვიძა.

მათ უსაყვედურა მაორმა.

ისინი სდუმდენ.

სდუმდა ირგვლივ მწუხრში ჩაფერფლილი მინდვრებიც. მდუმარე იყო ნაოვლიანი საღამო...

მაორი უფროსებს მოელაპარაკა და წავიდა. ჯარის კაცები დაიშალენ თავიანთ მიწურებში. ამუნიციის იმზადებდენ, სწერდენ წერილებს. ყველა თავის სულში წავიდა და იგონებდა დავიწყებულ ცხოვრებას; მაგრამ მოაგონდათ მხოლოდ დავიწყებული სახელი.

ეს იყო **სიკვდილი.**

მის ლამაზ თვალებში ყოველ მათგანს ჩაეხედა.

ერთხელ მაინც...

და იქნებ ამისთვის იყო, რომ ასეთის სიიმაყით ატარებდენ იმის ემბლემას სიცოცხლით სავსე მხარ-ბეჭებზე.

ლამაზი და მკაცრი იყო იმის თვალები.

და ძმიმე.

არ უყვარდათ...

— ეჰ!—მეგობრულად გადაკრეს ხელი ერთმანეთს.

— ხვალ?—თითქო რცხვენოდა.

— ჰო მაშ!

— მოკვდები ისე, რომ არც კი იქყოვლებ!

— ხა-ხა-ხა-ხა.

— ხვალ...

ვიღაც თავის ოჯახურ გაპივრებაზე ლაპარაკობდა.

ვიღაც იგინებოდა მყარალად და გულცივად.

გარეედან მუსიკა მოისმა. მიწურებიდან გამოვიდა თითქმის ყველა. და სანამ სნეზენსაკენ გასწევდენ, შუალამემდე, შშაგად უკრავდა გარმონია, რაკუნობდა სახელდახელო დიპლიპიტა, იყო ყიეინა, იყო ცეკვა და თამაშნი.

კარგად იცოდენ რაც მოელოდათ. მაგრამ ქონდათ ერთი შეუგნებელი და ურუეეი იმედი:

— ჩვენ ათასი ვართ.

II

ღამეა—შავი უკუნეთი.

არც ცა მოსჩანს არც დედამიწა.

არც იძერის არაფერი.

მხოლოდ მოუსვენარი სიკვდილი დაძრწის ამ ბნელ ღამეში. მიდის, ყურდაცქვეტილ სანგრებს მიყვება, მიბოძიკობს.

სიკვდილი ერთია და ათასი საქმე აქვს.

უჭირს, მაგრამ რა ქნას! დიდია მისი სამეფო.

ყველას უნდა ჩამოუაროს.

მიბეჟეტულ მიწურებში ფარფოოვდებიან ძილით მოშხამული თვალები...

სიკვდილი ერთია, მაგრამ—დაუღალავი.

ათასის „წინაშე სდგას. ათას გულს კუმშავს ცივი ხელებით.

და ეკვდრება მას სული.

ცოცხალი სხეული გაუბრის...

მაგრამ სიკვდილი მოულოდნელად აქ არის, ხელები ღრმად ჩაუშვია. სულში და ჩურჩულებს მეფე და ოინნბაზი:

*

— სველი შავ-მიწა გადადის განზე. მოღლილი ცხენი ქშინავს და ფრუტუნებს. ეჰ, გუთნის დედავ, ცხელი გულ-მკერდი ოფლში გეწურება!.. შესდეები თამბაქო აბოლე...

— რა კარგია მოსვენება, ოფლისა და სველი მიწის სუნი? როგორ დამათრობელია შრომა და სიცოცხლე!..

ხედავ, იქ ორთქლ-აყრილ ჯალაში როგორ ლიფლევებს თეთრი ცხენი და ჰატარა კაცესნ!.. ღმერთო, მთელი უმიჯნო სივრცე იხაზება დღეს და მადლიანი თესლი წვიმასავით ჩადის მიწაში!

შეიკუმშა მოგონების სურათი და უეცრად ის, ვისაც სიკვდილი ესაბრება, ხედავს თავის თავს აქ, სანგრების სამარეში. როგორც ერთი უბრალო მარეცალი, ჩათესილია იგი მიწაში. ფუმბოელი გუთნის დედა დასდგომია თავზე და მალე მიაყრის მიწას.

და შეეეედრა იგი უმიდოოთ:

— სიკვდილო, დამაცა, ვიიკლის ეს ღამე... მხოლოდ ეს ერთი ღამე, და ცხენის მაგიერ შევებმი ულელში.

*

მაღალ ნაპირიდან გადმოშვერილ ბუჩქებს ნაფლეთებად სწყდებოდა სველი თოვლი და სიცოცხლეს დამარხვას გიპირებდა... გახსოვს ტკბილეულები? ო, როგორ ჭყვიროდნ!.. კვდებოდი, მაგრამ იმედი მაინც გქონდა. ჩემს ნუგეშს ვაურბოდი და კიდევ გაგიმართლდა:

ჯანმრთელი ხარ, უდარდელი, მდევი-ვეტკაცი.

მაგრამ ხვალ, როგორც კი ინათებს, იცი!..

— შეგაფურთხებ მაგ უშნოთ დაჯეეებულ თვალებზ!..

სიკვდილს გეეცინა...

— შეხედე ამ ღამეს...

— ჩვენ ათასი ვართ.—

— უამრავიც რომ იყოთ...—

— სიკვდილო!

*

— სძინავს აშოლტილ ალვის ხეებს ექ, მუდამ წყნარ სასაფლაოზე... ისევ მოვიდა თეთრი ქალი შავებში და უწინდებურად მიებყრო, მოთენთილი, ცივ მარმარილოს. საკმეველი ზოზინობდა მზისისარიეთ სწრო ეშვებში და სევდიანი ლოცვა მიჰქონდა ზეკით... მაგრამ ვინ დაუჯერებს შავებს და ლოცვას, როცა თვალები უღიმიან გაზაფხულს. მისი მშვენიერი, ღრმა და მოკაშკაშე თვალები დაგეძებდენ შენ...

— სიკვდილო, ოჰ, სიკვდილო!..—

— დაგეძებდენ შენ და ვერ გნახეს. და, ვინ იცის, უკეე ოდესმე გნახავენ თუ არა. და როცა გიიგებენ შენს სიკვდილს, ვინ იცის, ატირებენ თუ არა!

— სიკვდილო!—

*

— შენ ხომ მუდამ სილამაზეს ეტრფი, და ყველაფერი, რაც მოგცა განგებამ მის სამსხვეპლოზე მიგაგეს...

შენ თრთი, კანკალებ, საბრალო მგოსანო! ეს ხომ შიში არაა?..

განა შენ პირველად მხედავ?

— ო, ასე ცხადათ!...

— არ გახსოვს, შენს ქალაქში დადიოდი აჩქარებულ, მფეფარე ქუჩებში... შენ მეძახოდი და ვერ მხედავდი, როცა შენს წინ ვიდექ, და სევდიანი მიღიმოდი, როგორც შორეულს!

გახსოვს, შენს სოფელს გაუარე მე შემოდგომით? წყნარდებოდა არე. ჰაერის ცივ ოკეანეს შავი ყორნების გუნდები მოედვა. ჩაშავდა დაფერთხილი კაკლის ფოთოლი...

გაფფირებული იდექ და მთელი მსოფლიო იყო შენს სულში... მისი დაბადება და დასასრული.

ყორანმა კაკალი ჩამოგდო...

ღიმილით აიღე და გიკვირდა: სუნნელოვანი იყო იგი, როგორც ცოცხი სეედა.

მერე სიჩუმე... სიჩუმე...

თრთოდა შენი სული.

ო, რა ახლოს იყო მაშინ შენთან რჩეულთა სილამაზე!..

მიიღე ჩემგან ეს წითელი ყვავილი.

მექი გეჩვენება? რა ვუყოთ, ღამით შავი ვარდია, კულტურის საუკეთესო ბაღში მოწყვეტილი... მაგრამ ხვალ, როგორც კი ირიერაეებს, სისხლისფერად აყვავდება იგი.—

წყნარად გაელიმა გაფთირებულ მგოსანს...

III

საფლავის სიჩუმე დაადგა სანგრებს. თითქო რაღაც საშინელის მოლოდინში სული განაბა ღედამიწამ.

მამლის ყივილი მოისმა მახლობელ სოფლიდან.

იქით მიიხედა დარაჯმა. ერთ წუთას მის სულში იფეთქა რაღაც შშობლიურმა, დავიწყებულმა...

და ხელი ჩაექნია...

— იქნება ეს მამლის ყივილი არ იყო!—იფიქრა მან. მაგრამ სოფელში აქა იქ მბეუტავი სინათლე სჩანდა. ისმოდა მიყოუებული შამა-შუმი. სადღაც ურემი მრიკინობდა, ფრთხილი, შორეული.

ცხადი იყო, არ სძინავდა მიდამოს. გულზე მოეშვა დარაჯს, თოფი მხიარულად გადიგდო მხარზე, გაიარ-გამოიარა და წყნარად, მუშტი სტვენნ დაიწყო.

...პირველმა ზარბაზანმა იჭექა იმ ღამეს.

მარტოხელი ყუმბარა სტვენით და კვნესით გადაფრინდა სანგრებზე და იქ, სადაც, მოკლე ღუღუნით ჩალლშნა დედამიწა.

და თითქო სწორ მექანიზმის ფოლაქს დაეჯარეს თფთი, —იქიდან სასაესხოდ გადმფრინდა ასეთივე უეცლო ფრინველი, სანგრების უკან დაიგიალა და ცხელ მოცლიდან გამოუშვა ათასი ბზეიღა ფუტკარი.

ასე დაიწყო...

და როცა ისევ დაწყნარდა ყველაფერი, მივიდა დარაჯთან სიკვდილი, მკმსე ცივი ხელი დაადვა მკერდზე და მეგობრულად უთხრა:

— შენ... იცი, შენ არ აგცილდება!...

ტურგენევის „Новь“-იდან გამახსენდა ერთი ადგილი, როცა აქ, ბრ. პიოლნიკის წიგნში წავიკითხე:

— „Где то Европа, Маркс, научный социализм, а здесь сохранилось поверье, которому тысяча лет“.

არავის თანამედროვე რუსეთის მწერლობაში არ დაუნახავს ასეთი სიშორე ერთმანეთისგან ორი სინამდვილის — „რევოლიუციის მოტანილი მშვენიერების“ და „ამოგრეული, ნოტეი ნისლით დაბინდული“ დედამიწის.

ეს სიშორე იწვევს საშინელ ტრაგედიას პიროვნების სულსა და გულში. ორ უფსკრულში მომწყვდეული პიროვნება დაკარგულად გრძნობს თავის თავს, მოწყვეტილ, ქარ წაღებულ ოთოლთა მიაჩნია თავისი არსებობა.

— „Нет закона у меня. Но не могу правду забыть. Не могу через себя перейти. Всё погибло. А какая правда на землю пришла!... ეს არის განცდა უბრალო მომაკვდავი პიროვნების, იმ პიროვნების, რომელიც, ავტორის სიტყვით, ქმნის რევოლიუციას... „რა სიმართლე მოვიდა“... „მე კანონი დაკარგა... მე დიდი სისაძაგლე ჩავიდინე“,— ასეთია საშინელი აღსარება...

უიმედობა და არაფერი უიმედობის მეტი. 48 მიტი. „Поймы твоим медным умом, что все мы... лезим к чорту, к черту все!.. Ах! Егор, иди, сыграай, сыграай интернационал!“— ყველაფერი გლახავდება ახლა, ყველაფერიო,—კენესის ერთი გმირი.

არის იმავე დროს რაღაც დაუძლეველი აუცილებლობა. რომელიც ალეპარაკებს იმავე გმირს:— „ინც ცოცხალია უნდა წავიდეს. „რევოლიუციაში უნდა წავიდეს“. ის მიდის კიდეც... „იმ ვარსკვლავისებური მშვენიერებისაკენ“, მაგრამ გრძნობს, რომ მიწიური პროზა ეჩხირება ფეხებში და არ უშვებს.... „Я большевичка Глеб, ты теперь знаешь Глеб, как я знаю, что самое ценное—хлеб и сапоги, чтоб-ли, дороже всех теорий...

„პური და ჩექმები“ ეს არის სიმბოლო იმ ამოგრეული სინამდვილის, რომელიც ნისლავს „უფიდეს მშვენიერებას“.

არის ერთი ზღაპარი, რომელშიაც დიდ უზარმაზარ, თანასწორებისგან დაუძლეველ სულიერს გარეშემო ეხვევიან პატარა უჩინარი არსებები და მიწაზე ანარცხებენ.

„პატარა უჩინარი“ არსებებია „პური, ჩექმები... მარილი... „ახლა ქალაქში ვიყავიო, უამბობს ერთი გმირი მეორეს, და გავიგე, რომ ზამთარში სიცივით დავიხოცებთო, რაღაც მარილის გამო. არ ყოფილა ერთნაირი მარილი, რომელიც ფოლადის საკეთებლათ არის საჭირო, უფოლადოთ კი ხერხი არ გაკეთდება, უხერხოთ შეშა არ მოიჭრება, და ნახე, სახლებში ყინვა დადგება, მარილი რომ არ იშოვება იმიტომო“.

რევოლიუციის სიღიადე და საშინელი ძალა ისეთი წვრილშინების, როგორც „პური“, „ჩექმები“, „მარილი“. აქედან...—„Взгляните, естественее смерть, чем рождение, чем жизнь“.

ამ წინააღმდეგობით გაპობილი სინამდვილე ზღაპრათ ეჩვენება პიროვნებას. ზღაპარია იმისთვის მთელი გარეშემო, ყველაფერი ის, რაშიაც მისავე ხელი ურევია, რაშიაც თითონვეა, ვითომ, მთავარი მომქმედი პირი. მიიხედ-მოიხედეთ, რუსეთში ახლა ზღაპარია, ზღაპარს ქმნის ხალხი, რევოლიუციას ქმნის ხალხი, რევოლიუცია დაიწყო, როგორც ზღაპარი. განა ზღაპარი არ არის სიმშილი, ზღაპარი არ არის ეს სიკვდილი? განა ზღაპრულათ არ კვდებიან ქალაქები და მიექანებიან მე-17-ე საუკუნისკენ. „Степь. Пустота. Безкрайность. Мрак. Холод“.

ავტორი არ იზოგავს სალებავებს, რომ გადაგვიშალოს წინ სურათი უდიდესი მშვენიერებისაგან მოწყვეტილ-მოშორებული სინამდვილის. ავტორის მხატვრული ძალა იმაშია, რომ შენივე თვალით ნახულს განახვებს და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო პირველათ ხედავ, როცა კითხულობ, მაგალითათ, ამისთანა სტრიქონებს:...—„Люди дичали, мечтая о хлебе и картошке, люди голодали, сидели без свеча и мерзнули... Красная кровяная жизнь ушла из города; как и не была здесь положем, пришла белая бумажная жизнь—смерть. Город умирал без рождения...—როცა, ვიმეორებ, კითხულობ ამისთანა სტრიქონებს, ჟრუანტელი გივლისთ ძარღვებში, თუმცა აქ ახალი არაფერია, თუმცა ეს ყველაფერი თვალით განახავს და მოწამეც ყოფილხარ ამისი.

ავტორი ისე აშიშვლებს სინამდვილეს, რომ თითქო უნდა მისი მონათელა „რევოლიუციისაგან მოტანილი მშვენიერების“ სანათლავში, თითქო უნდა გაწმინდოს აქაურობა, გააკალოს ის ჭუჭყი, რომელსაც უხვათ აჩენს მისი კალამი მიწიერ სიცრმეებში.

ავტორს სწამს, რომ მოხდება ეს განწმენდა, ეს მონათელა. ამაშია მისი ფიქი და მისი... თანამგზავრობა“.

მაგრამ ეს არ სწამს გულს იმ უბრალო მომაკვდავისას, რომელიც გამოჭყავს ავტორს თავის კალმის ქვეშ. ამაშია ავტორის მხატვრული სტიქია, რომელიც ამარცხებს მის მოქალაქეობრივ ფიქრს.

**უცნობი.**

# კოლხეთი

1

მიწის დიდ ბურთზე არის სადღაც ერთი წერტილი,
ეს მშვენიერი კოლხეთია, ქართველთა ბუდე.
ისე ლამაზობს, ვით ვარსკვლავი ჩამოწყვეტილი...
მიწის დიდ ბურთზე არის სადღაც ერთი წერტილი.
ბევრჯერ ყოფილა მისი ბედი გადაწყვეტილი:
მაგრამ დღესაც სდგას და არტყია მთავრეხილთ ზღუდე...
მიწის დიდ ბურთზე არის სადღაც ერთი წერტილი,
ეს მშვენიერი კოლხეთია, ქართველთა ბუდე.

ცენტრია იგი დედამიწის ღერძის მტვირთველი,
ვით იალბუზი, ქედ-მაღალი, ამობურთული.
მუდამ ამაყობს თავის როლით, როგორც პირველი...
ცენტრია იგი დედამიწის ღერძის მტვირთველი.
მის გულში მარად დანაკარდობს ცეცხლის ფრინველი
და ბუმბერაზ მთებს ისე ისერის, ვით ქვებს შერდული...
ცენტრია იგი დედამიწის ღერძის მტვირთველი,
ვით იალბუზი, ქედ-მაღალი, ამობურთული.

მაშინ, როდესაც დაიღუპნენ ქვეყნები ძველი:
დიდი ჰელლადა, ბაბილონი და ასურეთი...
ვერ იატანეს უმძიმესი დრაკონის ნელი...
მაშინ, როდესაც დაიღუპნენ ქვეყნები ძველი,
ის ისევ ცოცხლობს და ამშვენებს წარსული ვრცელი
და უნდა ნახოს მომავალი ახალი ღმერთი,
მაშინ, როდესაც დაიღუპნენ ქვეყნები ძველი:
დიდი ჰელლადა, ბაბილონი და ასურეთი.

საუკუნეთა გრძელ მანძილზე იბრძოდა მუდამ,
რომ შეენახა სიცოცხლე და მარადისობა:
და სჩქეფდა მასში ენერგია, ვით წყალი რუდან...
საუკუნეთა გრძელ მანძილზე იბრძოდა მუდამ.
ის ვერ გასტეხა ვერც მაჰმადმა და ვერცა ბუდამ...
იყო ამაყი და ეს ჭქონდა მარად თვისებათ:
საუკუნეთა გრძელ იანძილზე იბრძოდა მუდამ,
რომ შეენახა სიცოცხლე და მარადისობა.

მას ვერ აშინებს დედამიწის გადაქანება.
ამირანივით უდრეკია და მუდამ მღერის:
ბევრჯერ უნახავს ჯოჯოხეთის აქანება...
მას ვერ აშინებს დედამიწის გადაქანება.
რა არის მისთვის ეულანები და გაქანება!
მან კარგად იცის საიდუმლო სიცოცხლის ბგერის.
მას ვერ აშინებს დედამიწის გადაქანება,
ამირანივით უდრეკია და მუდამ მღერის:

2

„ჩემში გამაგრდა გამძლეობა ქართოლოსიანის
და ვერ გამტეხენ მოვარდნილი ქარტეხილები:
ბევრჯერ მინახავს მეხთა ტეხა, ცეცხლი ზიანის....
ჩემში გამაგრდა გამძლეობა ქართოლოსიანის,
მიცავს გუდანის მტკიცე ხელი, სახე-მზიანის,
და მდარაჯობენ ბუმბერაზი მთაგრეხილები:
ჩემში გამაგრდა გამძლეობა ქართოლოსიანის
და ვერ გამტეხენ მოვარდნილი ქარტეხილები!“

„მეფე-მგოსანმა ჩემი სული ცამდე აზიდა
და მზემ ვშაშალა ჩემს თვალებში სხივთა მარაო:
შეჰკრთა ბნელეთი და აბღარდა ღილა აზიზად...
მეფე-მგოსანმა ჩემი სული ცამდე აზიდა.
და ცეცხლის განცდით ჩემი გრძნობა ისე აკიელდა,
თითქო იწვევდა საპაეკროდ ზვიად ფარაონს!..
მეფე-მგოსანმა ჩემი სული ცამდე აზიდა
და მზემ გაშალა ჩემს თვალებში სხივთა მარაო.“

„როგორც თამარის დიადმა უძვირფასესი,
მარად ვიქნები მარგალიტი კავკასიონის:
მტერსაც თვალს მოკრის ჩემი მიწა, ლალით ნათესი....
როგორც თამარის დიადმა უძვირფასესი.
და, ვიდრე დამცქერს თავზე სივრცე ფირუზ სარკესი,
მემუსიკება ხმაურობა მტკერის და რიონის,
როგორც თამარის დიადმა უძვირფასესი,
მარად ვიქნები მარგალიტი კავკასიონის!“

„მუდამ მოჰრბოდა ჩემს კენ შური—სიხარბე თვალის:
ხშირად ჭქონია სხვა და სხვა სჯულს ჩემთან დუელი:
მაგრამ ვიცოდი აელვება დროზე მე ხმალის...
მუდამ მოჰრბოდა ჩემს კენ შური—სიხარბე თვალის.
მტერი ვით გაგტეხს—მკერდში თუ გაქვს სიმტკიცე რვალის,
უტეხი რწმენით გამარჯვებას მარად თუ ელ!...
მუდამ მოჰრბოდა ჩემს კენ შური—სიხარბე თვალის:
ხშირად ჭქონია სხვა და სხვა სჯულს ჩემთან დუელი.“

„მოგონებათა ხეივანი რომ გამოვფინო,
ბევრი ძვირფასი სახე ამკობს ხსოვნათა ეკრანს,
გვიორგვინსანი, მაღლ-მოსილი, თუ უგვირგვინო...
მოგონებათა ხეივანი რომ გამოვფინო.
მაგრამ ყველაზე უფრო მიეკარს: თამარი, ნინო
და მინდა შოთას უკედავება სულს მარად ეკრას!..
მოგონებათა ხეივანი რომ გამოვფინო,
ბევრი ძვირფასი სახე ამკობს ხსოვნათა ეკრანს.“

„მსოფლიოს ვუკეკერ თვალ-აკრილი, ახალ გაგებით,
და ვამბეურებ სულის ლტოლვას, ფიქრთა სალაროს:
მსურს გავიფრინო ფრთალამაზი ფარშევანგები!..
მსოფლიოს ვუკეკერ თვალ-აკრილი, ახალ გაგებით.
მძღლს თავხედობა ველურობით ნაუზანგები.
მიყვარს კახური. ჭირშიც ვმღერი ჭარიპარალოს...
მსოფლიოს ვუკეკერ თვალ-აკრილი, ახალ გაგებით,
და ვამბეურებ სულის ლტოლვას, ფიქრთა სალაროს.“

„არ მწყალობს ბედი, მაგრამ სული ჯერ არ დამღრალა,
თუმც უკან მომსდევს ბევრი წელი და საუკუნე:
მრავალ ქამთასვლას გადაივლებს კვლავაც ქალარა...
არ მწყალობს ბედი, მაგრამ სული ჯერ არ დამღრალა.
დრომ, უნაპირომ, აქამომდე თუ ვერ დამღალა:
კვლავ ფრენა იქროლებს წელმაგარი ეს ჩემი ჰუნე!
არ მწყალობს ბედი, მაგრამ სული ჯერ არ დამღრალა,
თუმც უკან მომსდევს ბევრი წელი და საუკუნე.“

**ვ. რუხაძე.**

---

თვალებში ჩახედა დარაჯმა, თოფი გულიანად მოიმარჯვა, გაჯავრებით, სასოწარკვეთით მიაფურთხა და პირი მოიბრუნა...

სტყუოდა სიკვდილი...

მაგრამ ის ამბობდა მხოლოდ იმას, რასაც ფიწარ უჯერებდნენ.

სიკვდილს სიმართლეს ვინ დაუჯერებდა!?.

IV

მტრის ზრახვა სისწორით გაზომილია, როგორც მანქანის პატარა ბორბალი.

სარდლებს ჯერ კიდევ შერჩათ სამხედრო ეშმაკობის რწმენა.

მაგრამ მტრის ეშმაკობა, შესაძლებელია, წინასწარ გაზომი და უჯერებში ჩაიწყო.

ასე ატყუებენ ისინი ერთმანეთს და თანაც დასკინიან, რომ მოტყუება შეუძლებელია.

ყველამ იცის, რაც უნდა გააკეთო. იარაღს ვერ დამალავ ბრძოლაში:

იარაღი მბრძანებელია.

ის არ ფიქრობს, მაგრამ ანგარიშობს სარდლის მაგიერ:

— სანგრებში და მიწურებში შეუძლებელია ისინი ბევრნი იყვნენ. მათთვის დამზადებულია ცხელი საუზმე, ტყვილა და ცეცხლის მფარველებია...

მაშველი ჯარი ვერ მოვა: ტალ-კვეს გადავყრით, ავმართავთ ზღაპრულ ცეცხლის კედლებს.

— ვინ შესდგავს ფეხს ჯოჯოხეთში?!

— გულადობა განწირულია.

ეკი მას, ვის იარაღსაც საანგარიშო არაფერი აქვს!

გარიჟრაჟისას ჰაერი ღმუოდა როგორც უპატრონო ძაღლი.

ათას ხმაზე მოსთქვამდა ნატეხი ფოლადი.

მფრინავი ნაღმები კუმშავდა ჰაერს, და ჰაერი სკემდა როგორც ნასროლი ლოდი, მძიმე ყუმბარები შადრევანს ადენდა დედამიწას, თითქო ის ზღვის წიალი იყო.

ჰაერი გამაგრდა. დედამიწამ დაჭარგა თავისი სიმაგრე.

და რკინის ნაღირთა მიერ ატეხილ მტვერში და ბღაველში არ სჩანდა, არ ისმოდა ადამიანი.

შეტევა მაინც უნდა მომხდარიყო.

პირველი ტალღა გაშლილ თხრილებს მიადგა.

როგორც ერთი კაცი, ჰთასი ამოვიდა სანგრებიდან და შარი შარზე გაეშურა მაღლობისაკენ.

იმ დღეს სისხლის გუბეებ-შუა ამოვიდა ზზე და ვერავინ იცნო მისი მეფური მეწამული.

V

ვის შეეძლო თქმა, როდის დადგა ის წუთი, როცა ადამიანს შორდება მიწიერი სიმძიმის გრძნობა და ისი სული ჯაშვებს იხსნის, თავისუფლდება?..

ნოტიო მიწა ავხორც დედაკაცივით გულში იკრავდა თავის მოძულეს.

სიკვდილმა შეჯაჭვა იგი, დაბლა დასცა და ძმიერ განართხა დედამიწაზე.

**განგება** და **ბედი**, ათასჯერ შერტყვენილი და დამცირებული, ეხლა დიდ-ღმერთობას ჩემოულობდა.

ქვეყნად არ იყო აზარმაცი, რომ შეშინებული გული გადაიბრუნებინა.

მაგრამ იქვე, სულის სიღრმეში, შეუმჩნეველად ინგრეოდა ძველი ღმერთების ყუდე.

და ჯერ კიდევ უძლურ ბოროტებაში დაიკენწესა სულმა.

— დედავ ღვთისაო!—

— მიშველე და დამიფარე, ტკბილო!—

— წყეულ იყავ შენ, ბებერო მიმენო!—

— ოხ, სიცოცხლევ!—

— მახლას!!!

მერე ცეცხლი და უკუნეთი ენებიან ხელებით ჩაეკრენ ერთმანეთს.

კიდევ ერთი წუთი.

— წონ!—ნაიდანაც გაისმა რიგში.

— წონ!—წასჩურჩულა, როგორც სატრფომ.

— წონ!—გაიმეორა რისხვით, ბოროტებით.

— წონ!—წამოიძახა სასოწარკვეთილებით.

— წონ!—ილრიალა მხეცმა.

და ვეება მანქანის ბორბალი დატრიალდა. აიმართა ბუუმბერაზი ურო... კენესდა გრდემლი და ძმიმედ ითქვამდა სულს...

ცეცხლის რაშები გამოვიდა ნაპერწკლებიდან. და თავდავიწყებით გაიაქანა სულები.

მიდიოდენ წონ, როგორც მთვრალი მაყრები.

ო, რა მწარე იყო სიკვდილის ფიალა და რა ტკბილი იყო იმით დათრობა!..

მაღლობს ცეცხლი ეკიდებოდა. . .

VI

მათ არ დაუნახავთ.

იჯდა კეისარი. თამბაქოს კვამლის ზოლებს მისდევდა თვალით და ფიქრობდა:

— გადიან დრონი და დროსთან ერთად იცვლება ყველაფერი. კეისარს არა ჰკვეს მეგობარი. წინედ ჰყავდა.

ეხლა ის მბრძანებელია.

მისი მეგობარი კი, როგორც ყველა,—მონა და მსახური.

აკეამლებული ქარხნები, ოფლში გაწყურული მაღაროები, თვალუწდომელ ველებში დაჭიმული მაგარი კუნთები,

ყველაფერი...

მხოლოდ მისთვის არსებობს და შრომობს.

ადამიანის დიდი სული?!.

მისი თვალები ლაჟვარდს გასკქერიან... მის გულში ღვთაებრივი ცეცხლი გუზგუზებს... აეზნებულ ოცნებას ეხატება დიდება და თავისუფლება... ცას და ვარსკვლავებს უკარნახებს იგი კანონებს...

— ითამაშეთ... ყველას ეყოფა დედოფლები...

კეისარი არ სწყრება, როცა განუყოფელ ბავშობაში ლამაზად ტაკტიკებს, ან სტირის და ცრემლებით დასველებულ ხელებით თვალებს ისრეს ავსებ კაცობრიობა...

კეისარმა კარგად იცის, როგორ გამოიყენოს ადამიანი.

განა მას ცოტა აქვს ოქრო და ვერცხლი?

მას დიდი სულიც ვერ აუარს გვერდს. ფოლადის კოშკები,—მისი დიდების და ძლიერების საფუძველი,—განა იმ დიდმა სულმა არ აუშენა?

ო, ფოლადი, მისი ერთად ერთი ენები და სურვილი!... მიზანშეწონილი, ცეცხლის ამტანი, მაგარი და სწორი როგორც მისი საკუთარი გული!..

მხოლოდ... ხანდისხან ურჩობს ადამიანი:

ჩაქუჩი განზე დაუდვია და მის ნისლიან თავში დფრინავს ქვეყნიური სამოთხე და თავისუფლება.

მაშინ უნდა ნახოთ კეისარის ღიმილი. ის სწორდება ტახტზე, თავს ზევით სწევს...

ძლიერი,—

ცივი,

კაცნიერი,

და ჩორჩულობენ მშრალი ტუჩები:

— იფიქრე რაც ენებავს, მაგრამ აკეთე მხოლოდ ჩემთვის. და თუ არ გამოდგება შენი სული, მაშინ გამოდგება შენი ხორცი და სისხლი . . .

არა... კეისარს სხვა რამე აფიქრებს დღეს. თავის უნებურათ დღეს მან ასკერ გაიმეორა:

„გადიან დრონი და დროსთან ერთად იცვლება ყველაფერი“!

კეისარს არა ყავს მეგობარი. წინედ ჰყავდა.

ჭაბუკებს კიდით-კიდე დაუელიათ დედამიწა და ლოთობის სუფრაზე უსვამთ წითელი მჩქეფარე ღვინო.

დღეს მონაა იგი.

მაგრამ რომ მონა იყოს და მეტი არაფერი!!!

არა, იმისგან, რაც დაჭკარგა კეისარმა, მხოლოდ ეს ერთი უთაკრავს გულს სინანულით, ეს ერთი უნაოჭებს პირის სახეს. ის ბევრს დასთმობდა, რომ სიკვდილი ისევ მეგობრად დაებრუნებინა.

კეისარს შიში ქონდა თავის მონისა და მსახურის...

რადგან, ერთხელ, სიზმარში თუ ცხადში, მან დაინახა მონის დახრილ თავზე

„ავი მეფური ვვირგვინი...

მთელი დღე მუშაობდა ზარბაზნები, თოფები, ტყვიის მფრქვეველები.

ეხლა ისევნებდნენ დაღლილ მხეცებივით და ცეცხლით გამომწვარ ლაჟვაზებს ისევლებდენ მაგრილებელ სალბუნით...

და ისევ დადგა ღამე.

კეისარი ანგარიშობდა:

ოქრო—ფოლადი—სისხლი

სისხლი—ფოლადი—ოქრო.

ის ქმაყოფილი იყო შედეგებით. მხოლოდ უკანასკნელ მოხსენებას უცდიდა.

სიკვდილი შევიდა თავის ბატონთან.

ადგა დიდი კეისარი, ღიმილითა მიეგება, ახლოს დაისვა და ყური დაუგდო...

VII

—... თითქო ერთმა დედამ ჭშობა ისინი—ამბობდა სიკვდილი,—და მშობელი თვით სიცოცხლე იყო: ისე ძლიერად სცემდა გულები, ისეთი კაცნიერება სჩქეფდა მოელვარე თვალებიდან...—მე ვუცდიდი დიდ მოსაკალს...

მაგრამ, როცა მიდიოდენ, ერთს მათგანს არამკითხე ყუმბარამ მოჰკვეთა თავი... ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ვერც კი მივუსწარი.

კაცის სხეული განაგრძობდა სხვებთან ერთად წინსვლას...

მხარეზედ მოგდებულ შაშხანაზე ხელი დაედო და, ბატონი ბრძანებით, მიდიოდა...

— სად?—უგულისყურად ჰკითხა კეისარმა და გამიერკეკა.

—?.. ჯანდაბას!.. იცინოდენ მეზობლები: „დახე ეთავოდ მიდისო“.

კეისარს გულიანად გაეცინა, მაგრამ სიკვდილი ცუდ გუნებაზე იყო.

— მერწმენე, კეისარ, ისინი დამცინოდენ... და ამაში ეჭვის შეტანაც ვერ მოვახერხე.

— ნუ თუ?..—

— არაფერია,—ორაზროვნად მიუგო სიკვდილმა,—კარგად ის იცინის, ვინც უკანასკნელ იცინის!— შენ წინედ გმირობაზე გიყვარდა ლაპარაკი... შენ გიყვარდა ფშაშარი მოწინამძღვარ!—

ადგა სიკვდილი, მოწყნარებით თაყვანისცა კეისარს, და მის საშინელ და ლამაზ თვალებში ხარხარებდა მოგონების შურისძიება... მაგრამ დინჯათ და ნაღვლიანად მიმართა ბატონს:

— კეისარ, კეისარ! ვინ გაარჩევს ეხლა გმირობას! მანქანამ წაშალა მისი სახე... მაპატიე, შენ უყურებ რიგებს, მე კი—ადამიანებს, და ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით:

— არ სურს ადამიანს სიკვდილი.—

— ო-ჰოო!—კეისარმა წარბები შეიკრა, ტუჩის კუთხეები უკმაყოფილოდ დაუშვა.

— მაგრამ... ისინი კვდებიან.— თითქო თავისთვის ჩაიბუტბუტა სიკვდილმა.

თვალებში შესცქეროდა კეისარი და გაელიმა მის ჩურჩულზე, მაგრამ ეს ღიმილი არ ჰგავდა ძველებურ ძლევამოსილ ღიმილს და რაღაც შიში, ნაღველი, თუ ცუდი წინათგრძნობა მწუხრის ჩრდილივით გამოიყურებდა მის გაფართოვებულ თვალებიდან...

— განაგრძე!—ჩუმად სთქვა კეისარმა.

**ბაუზა.**

მერე დაიწყო მოწყენინთ:

— მთელი ღამე ვაშინებდი მათ...— სიკვდილმა ჩამოართვა ღვინოს სავსე თასი და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— მაგრამ... მე ვატყობ, რომ თქვენს ხაზებზე მეტი ბარგი ვხდები... საითაც არ გაიხედავ, ყველგან მანქანაა...

— მისი ბრჭალი მადგია მხარზე... მან შემარცხვინა და უსახელო გამხადა...

სიკვდილის თვალებში ძველი ცეცხლი დაენთო. ის წამოდგა და მისი ხმა მუქარას ჰგავდა:

— კეისარ! მე მოგშორდები ამ ადგილებს. მშვიდობიან ქალაქებს და სოფლებს მივაშურებ. იქ ჯერ კიდევ სცხოვრობს ადამიანი და ყოველ მათგანს თავისი სახელი აქვს. იქ მე ვარ კეისარი. და თუ იქაც შემოიჭრა ამ შენი მანქანით, იცოდე, აგიჯანყებ მთელ ქალაქს და სოფელს...

— სიკვდილი ვერ აიტანს დამცირებას!

— სიკვდილი ძველი რაინდია! ის ჩვეულია თავი დაუკრან, სანამ დაწვებოდენ.

აქ კი ასეულები დაწვენ...

ორც კი შემომხედეს.

# სიმფონიური კონცერტი

## პირველ კონსერვატორიაში

ეს კონცერტი იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით მაინც აღვნიშნოთ ჩვენს ბეჭდში. საზოგადოდ ტფილისი მდიდარი არ არის ინსტრუმენტალური კონცერტებით, განსაკუთრებით სიმფონიური,—და, რასაკვირველია, როდესაც ამ ნაკლის შევსებას ხელს ჰკიდებს ჩვენი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი,—სრულის კმაყოფილებით უნდა მივეგებოთ ამ მოვლენას.

მართალია, კონსერვატორიაში გამართული კონცერტი მოსწავლეთა კონცერტი იყო, მაგრამ პროგრამის აღსრულება ისეთ დონეზე იდგა, რომ სრულიად დაიკმაყოფილებდა მუსიკალურად განვითარებული შმანეული მოთხოვნილებას.

უპირატესად აღსანიშნავია კონსერვატორიის მოსწავლეთაგან შედგენილი ორკესტრი, რომელიც 55—60 მოწაფისაგან შესდგება და რომელსაც ლოტბარობს კონსერვატორიის დირექტორი ბატონი **ფალიაშვილი.** ორკესტრი შევსებულია მხოლოდ რამდენიმე უტაო მემუსიკისაგან, განსაკუთრებით ჩასაბერ საკრავებზე (ხისა და სპილენძისა) დამკვიდრებულნი.

პროგრამა იყო რთული და უაღრესად სერიოზული. ბეტჰოვენი, ვაგნერი, ლისტი—ეს ისეთი ბუმბერაზები არიან, რომელთა წინაშე თვით დიდნი ჟურუმნი კრთიან და კრძალვით იქსებიან. ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ პროგრამის დასაწყისში შესრულებული **ბეტჰოვენის** მეხუთე სიმფონია (I—II ნაწ.) ძლიერის მეტყველებით და აღტყინებით არ იყო გადმოცემული. იგივე სიმფონია გვიჩვენებს, რა დიდი შრომაა გაწეული ორკესტრის ხელმძღვანელისაგან, რათა დაეცული ყოფილიყო ფაქტობრივ დასტული ნაწარმოებისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ორკესტრიანტები უპირატესად სულ ახალგაზრდანი არიან, უმეტეს შემთხვევაში მოზარდნი. ამასთანავე კონსერვატორიის მოწაფეთაგან შემდგარი ორკესტრი მეოცეეია, შრომის უსასყიდლობის გამო. ამისგამო, უაღრესი პატივისცემას ხელმძღვანელისადმი თუ შეუძლიან შექმნას ამგვარი ორკესტრის დისციპლინა.

სამაგიეროდ **ლისტის** „ცეკვა სიკვდილისა“ მშვენიერად იქმა აღსრულებული. მოსწავლე სერობიანის ასულმა გამოიჩინა (როიალზე დაკვრით) საკმაოდ განვითარებული ტეხნიკა და მკრძნობიარობა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს მუსიკალური ნაწარმოები ჰსაჭიროებს მძლავრ კვეთას,—რაც მის სათუთ თითებისათვის ძნელად დასაძლევ დაბრკოლებას უნდა შეიცავდეს,—უნდა ვსთქვათ, რომ მან სრულიად დაკმაყოფილა საზოგადოება, რომელმაც ტაშით გააცილა იგი.

განვითარებული ტეხნიკა აქვთ აგრეთვე მოსწავლეთ **კაზარიანს** (ლისტის „ესპანური რაფსოდია, ბუჩენის მიერ შემუშავებული) და **ზომმერს** (ჩაიკოფსკის კონცერტი), მაგრამ აკლიათ გრძნობის სიცხოველე.

სამაგიეროდ, გრძნობით აღსავსე და სამღერი ლირიზმით მოსილია მოსწავლე **სვანიძის** დაკვრა (ბეტჰოვენის კონცერტები).

სიმღიანან საკრავზე დამკვიდრ კონცერტში მხოლოდ ორი იღებდა მონაწილეობას—მოსწავლე ვიოლონჩელისტი **ივანაზოვი,** და ვიოლინისტი (სკრიპკა) **ბრედსკი.** პირველმა გამოიჩინა ფაქიზი მუსიკალობა, კილოანობა და გრძნობის სისათუოა. აკლია მხოლოდ ტონის სიმძლავრე, რისგანაც მის დაკვრას არა აქვს ნაკეთიანობა.

მეორე—ვიელინისტი **ბრედსკი** სულ ბავშვია—13—14 წლისა, მაგრამ, როგორც სჩანს ყველასგან უნიჭიერეს მემუსიკედ არის ბიჭნული. მართლაც თავის საკრავს სრულიად თავისუფლად, გაბედულად ეკუცეა, ტეხნიკური დაბრკოლება არ აშიჩებს და სიადვილით სძლევს. ამ რიგებაზე (ვენიავსკის კონცერტი) მისი დაკვრა როგორლაც მშრალი გვეჩვენა, ნაკლებად გრძნობა-ნარევი.—შეიძლება, ეს თვით ნაწარმოების ბრალიც იყოს.

მომდერალთა შორის აღსანიშნავია მოსწავლე ქალი **ოლეინიკოვა,** რომელსაც ლამაზი ხმა აქვს—ლირიკული სოპრანო, გამომეტყველი სახე და ფრაზა. არა ქ-ნ **დოკუდოვსკაიას** აქვს ურიგო ხმა, მაგრამ მეტად რთული სასიმღერო ჰანგი ეკისრნა. იგი ჩვენი აზრით ლირიკული სოპრანოა, ჰანგი—კი (ლენკას ოპერა „რუსლან და ლიუდმილა“—დან) მოითხოვს ადგილ-ადგილ კოლორატურულ სოპრანოს კხინანაჭურობას, „რაც მომღერალს ნაკლებად ეხერხებოდა.

მშვენიერად იქმა შესრულებული ორკესტრის მიერ ლოტბარისაეე ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ ლეკური და მირზაია. ჩვენა ვვგონია,—ეს საორკესტრო ჰანგი სწორედ ამგვარი კონცერტების საუკეთესო სპროგრამო ნომრად გადიქცეეა.

ზაქ. ფალიაშვილს დიდი ოვაციები გაუმართეს. მოსწავლეთაგან ამჰანგებმა დაეალებით ერთმა მგრძნობიარე სიტყვით მიმართა მას, და ამ სიტყვაში აღნიშნა დაუღალავი შრომა და ენერგია მასწავლებელისა, რამაც უკვე გამოიღო თვალსაჩინო ნაყოფი სულ მცირე ხნის განმავლობაში.

ჩვენის მხრით ვუსურვებთ საკარგოელოს მუსიკის უმაღლეს სკოლას და მის ხელმძღვანელთ სრულ გამარჯვებას, რის ნიშნეაც ჩვენ უკვე თვალნათლიად ვიხილეთ.

**ინენ.**

# ბიბლიოგრაფია

**ილიონი № 3.**

ჩვენი ბაზარი ისეა ღარიბი ქართული გამოცემებით, რომ ქართულ ყოველ-ვგარ წიგნს დიდის სიამოვნებით ვიღებ ხოლმე ხელში.

„ილიონი“ თვეული ჟურნალია და მე გამეხარდებოდა რომ იგი სისტემატიურად თვის ბოლო რიცხვებში მაინც გამოდიოდეს...

ამ ჟურნალის გარშემო თავმოყრილია ისეთი ვგვარები რომელთა მიმართ რეცენზენტისაგან მეტი პატივისცემა მოითხოვება.

ილიონის შესამე ნომრის აკლია რამდენიმე სახელი, მაგრამ მაინც ეს ნომერი, როგორც ლიტერატურული მოვლენა, საინტერესოა უცილობლად.

ჟურნალი, როგორც სჩანს, ნიეშეს საპატეესაცემლოდ არის გამოცემული. პირველ გვერდზე მოთავსებულია ნიეშეს სურათი; სურათი ისეა აზეპიანი შაი ფერადი, რომ ნიეშეს სახელისთვის უკეთესი იყო არ დაეპეტიდიყო.

კონსტანტინე გამსახურდიას წერილი: „ტრაიედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ დაწერილია საგნის ცოდნით და კეთტურულ ტონით. წერილის სტილი დამაკმაყოფილებელია.

ყურადღებას იპყრობს აგრედვე ირაკლი ტატიშვილის წერილი: „ფრიდრიხ ნიეშე“ ილიონის რედაქციას, სხვათაშორის, ის დამსახურებაე მიუძღვის, რომ მათ გარშემო თავმოყრილია როგორც საქართველოს ოქროს ზოგიერთ დიფარული პოეტები, ისე უცხოეთში ნასწავლი ახალგაზრდობა (ა. ჯუფაძე, კ. გაბსახურდია, ი. ტატიშვილი) რომელნიც ქართულ კულტურას პირდაპირ ეუფრებენ თვალებში.

ლექსების განყოფილებაში მოთავსებულია (ანბანზე) შემდეგი ავტორები: კ. გამსახურდია, ვ. გორგაძე, ტ. გრანელი, ქ-ნი მარიჯანა და ი. მოსაშვილი.

გამსახურდიას ლექსში: „მე ვარ სარანგი ღამისა“ არის შეგრძნობა ღამის იდუმალობის და რბილად ამოკვეთილი სტრიქონები.

„ღამე არის მშვენე მანდილოსანი..
ღამე არის იდუმალი მგოსანი.
ღამე მოვა სიძე ანაზდეული,
ღამეს **ეტრფის** ყველა მზედალეული.

ლექსი ბევრს მოიგებდა რომ შიგ არ იყოს ეს ჩემმიერ ხაზგასმული სიტყვა: „ეტრფის“ და ყოველი სტრიქონის შემდგომ გაბელის ყაიდაზე ერთფეროვანი ალმანანშენტი: „მე ვარ სარანგი ღამისა.“

ვასო გორგაძის ლექსი: „გამგზავრება გორის წმინდა გიორგიზე“ დაწერილია დატეხილ ლექსით. ლექსი თავის აღნაგობით და სულიერ ფერისცვალებით—ლამაზია. ვასო გორგაძე არც ისეთი ახალი პოეტია და ამიტომ ზოგიერთ უქართულობისთვის ჩემი კალამი საყვედურს ეტყვის.

ტერენტი გრანელი, გობრონ აგაროვი, გიორ საგანელი. ყოველთვის ეს სამი პოეტი, როგორც მათი გარითმული ფსევდონიმები, უერთმანეთოდ ვერ წარმოსადგენია. ტერენტი გრანელი ამ ორ პოეტს ჰგავს იმდენად რამდენადაც თვითეული ისინი ჰგვანან ტერენტი გრანელის. ტერენტი გრანელის ლექსებში უფრო ნაბი მელანხოლიაა და უსათუოდ ყოველი ლექსი ნაგრძნობია და ნაგულწუფლეეი.

მარიჯანის ილიონის სამივე წიგნში წარმოდგენილია როგორიც წინწყწეული პოეტი. მისი „განჯა,“ რომელიც—სხვათა შორის—ყველა რეცენზენტს ერთხმად მოეწონა, მეტად საინტერესოა თავისი აღმოსავლური კოლორიტით:

„წითელ ქლამიდას როს მოისხამს აღმოსავლეთი,
ყორანთა ურდო აიყვავებს ბაღში ჩინარებს.

აქ ერთი კალმის მოსმით ორიგინალურ ფერებში მოცემულია განთიადის საუკეთესო სურათი, როცა ფრინველთა გუნდი მართლაც აიყვავებს ხოლმე ხეებს, მაგრამ პოეტი მოწყვეტილი თავის საშშოლოს ბოლოს დასძენს:

„მძღლდა ეს მხარე, ეს ჭაობი, ეს ქუჩა ხილის

და ვნატრულობდი ალიაქოთს, თეატრს და ტფილისს“.

მარიჯანის „ლექსი შემთხვევით“ ქართველი ქალისთვის უჩვეულო სიტამამეა:

„როდესაც მტერი ტყეიას სთესავდა ქეჩუბს მოედო ტროაურის მარში.
**ჩვენი ხმეული დანთესავდა...**
და სხვა...

ან კიდევ:

მე შენთან ვრჩები სხვის მონატრული.

მაგრამ რად მთვლიან უცნაურ ქალად?

მარიჯანი შეიძლება პირველი ქალი იყოს რომელმაც თავის გრძნობაზე დაიოლაპარაკა ქალურად და დაილაპარაკა გაბედულად როგორც ამბატივამ რუსეთში. არ შეიძლება პარალერულად არ მოვიგონოთ წინანდელი პოეტი ქალები, რომელნიც ტრადიციას ვერ ლახავდნენ და პოეზიის ხეივანში თავდახრილი და ჩიბტაკოპით დართულნი გაისეირნენდნენ ხოლმე: მათ ლექსებში ქალის სულის ეანკალი ნაკლებ სჩანდა, რითმები ფანჯრებიდან იეკერებოდნენ და არ იქნება ტყუილი თუ ვიტყვი რომ ძველი ქალების ლექსებს ქვეშ რომ ვიკის ვვარი ჭქონდა მოწერილი ლექსის იერი ამით სრულიადაც არ შეიცვლებოდა... თვით დღესაც კი, როცა ზოგიერთები თავიანთი ოჯახის წევრებსაც „პოეტესების“ იარილკით ასაღებენ.. ჩემთვის, პოეზიის სინიდისის მოყვარულისთვის, მარიჯანის ძარღვებ ჩაერილი ლექსები ყოველთვის ძვირფასი არმაღარი იქნება.

მარიჯანის ლექსს მოსდევს ი. მოსაშვილის ლექსი: საზოგადოთ ახალგაზდა და ნიჭიერ ძალებს ჟურნალი, როგორც სჩანს, აფასებს ი. მოსაშვილის. (ისე როგორც პირველ ორ ნომერში დ. ალლაძის) აღმოჩენაც ილონის დამსახურებაა უსათუოდ. მაგრამ სამწუხაროდ მოსაშვილის ლექსი აქ მეორედაა დაბეჭდილი. ამ ბოლო დროს ერთგვარ მოდად შემოდის ერთი ლექსის რამდენიმე ორგანონში დაბეჭდვისა. თუ ეს „ზოგიერთებს“ ეპატიება—არ ეპატიება იმ ახალგაზდებს მაინც რომელთა გონებრივ პერსპექტივაზე კარგი წარმოდგენისა ვარ.

ამ ნომერში მოთავსებულია ... მოთხრობა ერთი ეკუთვნის გარდელს, მეორე—უიარაღოს. გარდელი მუდმივი სტუმარია „ილიონის“ თავის „ყვითელი ფურცლების“ სერიით. ამ ნომერში დაბეჭდილი მოთხრობა კარგად არის დაწყებული, შიგ არის ფსიხოლოგიური მომენტები და ძერფასი მოგონებები: არის ერთი შეცდომითი ნაკლეაც: აწკარა მოთხრობა დაწერილია რეგოლიუციამდე, მაშასადამე ქუჩებსაც ის სახელები უნდა ერქვას რომელიც მაშინ იყო. მოთხრობაში არის ასეთი ადგილები: „აუარებელი ხალხი იყო რუსთაველის პროსპექტზე... მეც გავწიე თავისუფლების მოედნისაკენ“.. და ყველა ეს მაშინ როცა მეეტლეს ვაატანგმა მანეთიანი მისცა და „**სამი აბაზი ზურდა დაუბრუნა,**“ როცა ქეჩაში „სამთოზარბაზნივით დაიქეცა **პოლიციელმა**“ და როცა ავტორის მეგობარმა ბებერმა დედაკაცმა „**სამშაურად იყიდე ერთი გირვანქა შაქარი**“... შეიძლება ეს არ იყოს აღსანიშნავი, იმ ღირებასთან ერთად რომელიც ამ მოთხრობას აქვს, მაგრამ ჩემის აზრით ლამაზ შენობის ასაგებად ყოველი ქვა რიგიანად უნდა იყოს წახნაგული, რომ საერთო სტილი არ დაირღვეს. გარდელს აქვს დაკვირვების ნიჭი ამის თავდებია მისი პიესა: „გაეწყვეტილი სიმი“ და რომანი „გრძნობათა ბერუსში“ და მე მინდა, რომ ყოველი მისი კალმის მონასმი უნაკლულო იყოს..

სიხარულით გადავფურცლე უიარაღოს მოთხრობა, მშვენიერი თემაა მაგრამ „მამელუკის“ ავტორს, შეეძლო უფრო დაეხვეწა ეს მოთხრობა.

დ. უუნაძის წერილი ახალი მიდგომაა საგნისადმი.

კოკი აბაშიძის რეცენზია, დაწერილია გულწრფელად და სიყვარულით,

ალექსანდრე წერეთელის თემა მეტად საინტერესოა და დამფიქრებელი, მაგრამ შინაარსთან შედარებით, ამ წერილის სათაური კორექტურული შეცდომა მეონია. წერილი ძალიან პატარაა, თემა კი ბევრს საბუთებს და აზრის დაწურვას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, ზოგიერთი გვარები რომელიც აქ არის მოქცეული, წერილის შინაარსთან ძალიან შორს დარჩებიან.

ჟურნალში, სხვათა შორის, 72 გვერდია.

**ვ. ზ.**


**სარდაქციო კოლეგია**



ცნობა

**სამართველოს ს. ს. სახალხო ბანკი დაარსდა 1921 წლის 1 სექტემბერს.**

**ანგარიშებს ფულებს ეძლევა: ფულის ვადიანობა ანგარიშებზე; ანგარიშებზე; ანგარიშებს, რომელნიც ვადიანი სესხებია; ანგარიშებს, ანგარიშებს ოთხმოცდაათ ქვეშ და ოთხმოცდაათ.**

**ამის გარდა ანგარიშებს ყველა ტფილისის ყოფილი ბანკების ლიკვიდაციის.**

**სესხებს ეძლევა ფულებს ოქროსა (ინ. 5 ბეჭედი) ბანკი შეუძლია რეგისტრაციის ქვეშ შეიყვანოს ვინც სესხებულია ბანკის ანგარიშებზე ბანკის ანგარიშებზე ბანკის ანგარიშებზე.**

**სესხებს ეძლევა ფულებს ... ... ...